საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 1372 2016 წლის 7 ივლისი ქ. თბილისი

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ქართული სამშენებლო მასალების კომპანიისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 13 ოქტომბრის №2207 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49[1] მუხლის შესაბამისად, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ქართული სამშენებლო მასალების კომპანიისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 13 ოქტომბრის №2207 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და:

ა) მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულების მიზნით, 9 191 408 (ცხრა მილიონ ას ოთხმოცდათერთმეტი ათას ოთხას რვა) ლარის ინვესტიციის განხორციელება შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

გ.ა) ინვესტიციის არანაკლებ 25% - ამ განკარგულების გამოცემიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში;

გ.ბ) ინვესტიციის დარჩენილი ნაწილი - ამ განკარგულების გამოცემიდან მეორე წლის განმავლობაში;";

ბ) დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. შპს „ქართული სამშენებლო მასალების კომპანია" (ს/კ: №405112701) ვალდებულია, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ქართული სამშენებლო მასალების კომპანიისათვის" პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 13 ოქტომბრის №2207 განკარგულების მე-2 პუნქტის „ა-გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების (მათ შორის, ამ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის) უზრუნველსაყოფად, ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი ცვლილების ხელშეკრულების გაფორმებამდე წარადგინოს „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „ქართული სამშენებლო მასალების კომპანიისათვის" პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 13 ოქტომბრის №2207 განკარგულების მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით განსაზღვრული საინვესტიციო თანხის არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი 2018 წლის 16 აპრილის ჩათვლით მოქმედი საბანკო გარანტია.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

დანართი:

N	საკადასტრო კოდი	მისამართი	უძრავი ქონების აღწერა
1	44.02.23.012	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოსირი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 28612 კვ.მ მიწის ნაკვეთი
2	44.02.23.013	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოსირი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 28842 კვ.მ მიწის ნაკვეთი
3	44.02.23.014	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოსირი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 29818 კვ.მ მიწის ნაკვეთი
4	44.02.23.015	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოსირი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 22882 კვ.მ მიწის ნაკვეთი

5	44.02.23.026	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოსირი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 84037კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 განაშენიანების ფართი 10629 კვ.მ. N2 განაშენიანების ფართი 52.00 კვ.მ. N3 განაშენიანების ფართი290.00 კვ.მ. N4 განაშენიანების ფართი 279.00 კვ.მ. N5 განაშენიანების ფართი 13.00 კვ.მ. N6 განაშენიანების ფართი 22.00 კვ.მ
6	44.02.23.028	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოსირი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 6349 კვ.მ მიწის ნაკვეთი
7	44.02.23.235	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოსირი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 62 725 კვ.მ მიწის ნაკვეთი
8	44.00.029	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოსირი	ხაზოვანი ნაგებობა, ობიექტის სიგრძე: 240.02 მ (ობიექტის ტიპი: რკინიგზა; ობიექტის აღწერა: ლიანდაგი;
9	44.02.23.243	სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოსირი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 5393 კვ.მ მიწის ნაკვეთი.